ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამუკა სინაურიძის მიერ 2025 წლის ოქტომბრიდან 2026 წლის სექტემბრის ჩათვლით,გაწეული საქმიანობის ანგარიში

მოგესალმებით,

წარმოგიდგენთ ჩემი, როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ნიკეას ოლქის მაჟორიტარის ანგარიშს 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრის ჩათვლით.

გახლავართ მერვე მოწვევის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ასევე, ნიკეას ოლქის მაჟორიტარი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 13 რიგითი და 2 რიგგარეშე სხდომა. საერთო ინტერესებისა და პრინციპების ირგვლივ გაერთიანების მიზნით, გავწევრიანდი ფრაქციაში „ხალხის ძალა“. ფრაქცია დაფუძნდა და საკრებულოში დარეგისტრირდა 2025 წლის 26 ნოემბერს. ჩვენი გაერთიანება წარმოადგენს საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანებას. ფრაქციის უმთავრეს მიზანს შეადგენს საკრებულოში ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის საგარეო და საშინაო საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი პოლიტიკური კურსის გამოხატვა და გატარება.

საკრებულოს სხდომებზე განსახილველი თემებისა და სხვადასხვა საკითხის წინასწარ, სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, აქტიურად ვარ ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მუშაობაში. კერძოდ, გაერთიანებული ვარ:

- ✓ **კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში (ჩატარდა 9 სხდომა),**
- ✓ **ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში, სადაც საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ 8 სხდომაზე განვიხილეთ 24 მნიშვნელოვანი საკითხი.**

ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციასა და მათი პრობლემების დროულად განხილვას.

საანგარიშო პერიოდში ჩემი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა: მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის საჭიროებების მხარდაჭერა;

საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მხარდაჭერა;

სპორტული და დასასვენებელი სივრცეების კეთილმოწყობის მონიტორინგი; გარემოსდაცვით საკითხებზე რეაგირება;

მოქალაქეთა ინდივიდუალური მიღება და კონსულტირება;

შესაბამის მუნიციპალურ სამსახურებთან თანამშრომლობა და შუამდგომლობა. ქვემოთ სრულად და დეტალურად განვიხილავ, თუ რა კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა და რა სამუშაოები განხორციელდა თითოეული მიმართულებით.

სოციალური და ჯანდაცვის მიმართულება

- საანგარიშო პერიოდში რეგულარულად ვატარებდი მოქალაქეთა მიღებას და ვსწავლობდი მათ საჭიროებებს სოციალური, ეკონომიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. მოქალაქეთა მომართვებისა და არსებული საჭიროებების საფუძველზე, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურებთან აქტიური თანამშრომლობითა და ჩემი უშუალო შუამდგომლობით, განხორციელდა სხვადასხვა სახის სოციალური და ფინანსური მხარდაჭერა.

- ✓ **2026 წლის იანვარი–ოქტომბრის პერიოდში, ჩემი შუამდგომლობით, ქალაქ ქუთაისის მერის სარეზერვო ფონდიდან ფინანსური დახმარება გაეწია 70 მოქალაქეს, ჯამში 25 000 ლარის ოდენობით.**
- ✓ **მხარდაჭერა გავუწიეთ მოქალაქეებს ძვირადღირებული მედიკამენტების შეძენის, სამედიცინო ოპერაციების, რეაბილიტაციის კურსების, ონკოლოგიური პაციენტებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო მომსახურების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას.**
- ✓ **ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახს გავუწიეთ შესაბამისი ფინანსური დახმარება.**

ინფრასტრუქტურული პროექტები

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე ნიკეას ადმინისტრაციულ ერთეულში საგზაო, ეზოების, სპორტული და დასასვენებელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საკითხებს. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით ვახორციელებდი მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგს და მოსახლეობის მიერ დაფიქსირებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას:

გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაციის, მშენებლობისა და მოვლა – პატრონობის საბიუჯეტო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:

ბეტონის საფარით საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ობიექტებზე:

- ✓ გიორგი მაისურაძის ქუჩა N13-ის მიმდებარედ,
- ✓ ლომოურის ქუჩა N3-ის მიმდებარედ;
- ✓ ლომოურის ქუჩა N11-ის მიმდებარედ,
- ✓ ნიკეას ქუჩა N74-ის მიმდებარედ,
- ✓ კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის (ლომოურის ქუჩის კვეთიდან რაგბის მოედნამდე მონაკვეთი) სავალი ნაწილის და ტროტუარების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები

ასფალტების საფარით საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგდა შემდეგ ობიექტებზე:

- ✓ ნიკეას ქუჩა N19ა მიმდებარედ მისასვლელი გზა;
- ✓ ნიკეას პირველი და მესამე ჩიხების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:

პროექტის ფარგლებში დასრულებულია სკვერების რეაბილიტაცია:

- ✓ ნიკეას მე-2 შეს. N13-15 მიმდებარედ;
- ✓ ნიკეას N19/65, N 66, N64 ბინასთან ;
- ✓ ნიკეას N64ა ბინასთან ;
- ✓ ნიკეას ქუჩა N68 ბინასთან;

ასევე, მზად არის სკვერის მოწყობის პროექტები:

- ✓ ნიკეას 2 შეს. N62 -ში;
- ✓ ნიკეას 2 შესახვევის N10-20-ში;

სხვადასხვა სახეობის სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა – რეაბილიტაცია – ექსპლოატაცია:

პროგრამის ფარგლებში დასრულებულია:

- ✓ ნიკეას ქუჩა №54 ა-ს მიმდებარედ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია;
- ✓ ლომოურის ქუჩაზე - სპორტული მოედნის რეაბილიტაცია;
- ✓ ნიკეას ქუჩის №19-98-ის მიმდებარედ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია;
- ✓ კ. გამსახურდიას N65-ში არსებული რაგბის სავარჯიშო დარბაზის რეაბილიტაცია

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა

პროექტის ფარგლებში დასრულდა ეზოების კეთილმოწყობა შემდეგ მისამართებზე:

- ✓ ნიკეას მე-2 შეს. N7ბ ;
- ✓ კ.გამსახურდიას 1 შეს;

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია დასრულდა:

- ✓ ნიკეას ქუჩა მე-2 შეს. N6;

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია დასრულდა:

- ✓ ნიკეას ქუჩა N34 ;

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამორტიზებული ლიფტების დემონტაჟის და ახალი ლიფტების მონტაჟი დასრულდა:

- ✓ ნიკეას ქუჩა მე-2 შეს N7ბ1;
- ✓ ნიკეას ქუჩა მე-2 შეს N19;
- ✓ ნიკეას ქუჩა N54 ა;
- ✓ ნიკეას ქუჩა N66;
- ✓ ნიკეას ქუჩა მე-2 შეს, N4;
- ✓ ნიკეას ქუჩა მე-2 შეს, N5;
- ✓ ნიკეას ქუჩა მე-2 შესახვევი, N2;
- ✓ მაისურაძის ქუჩა N9;
- ✓ ნიკეას ქუჩა N36;
- ✓ ნიკეას ქუჩა N68;

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება:

- ✓ ნიკეას ქუჩა N34;
- ✓ ნიკეას ქუჩა N15;
- ✓ ნიკეას ქუჩა მე-2 შეს, N6;
- ✓ ნიკეას ქუჩა N40;
- ✓ ნიკეას ქუჩა N38;
- ✓ ნიკეას ქუჩა N30;
- ✓ ნიკეას ქუჩა N36/1 სადარბაზო;

- ✓ ნიკეას მე-2 შეს N7;
- ✓ ნიკეას მე-2 შეს, N32;
- ✓ ნიკეას 1 შეს, N11ბ;
- ✓ ნიკეას ქუჩა N62;
- ✓ ნიკეას ქუჩა N72;
- ✓ ნიკეას მე-2 შეს N11;
- ✓ ნიკეას ქუჩა N54;
- ✓ ნიკეას ქუჩა N48;
- ✓ ნიკეას ქუჩა N62;
- ✓ ნიკეას ქუჩა N38/3;
- ✓ ნიკეას ქუჩა N19/98 1 სადარბაზო;
- ✓ ნიკეას ქუჩა N19/19;
- ✓ ნიკეას ქუჩა N36-6 სადარბაზო;
- ✓ ნიკეას ქუჩა N50;
- ✓ ნიკეას ქუჩა 1 შეს N9;
- ✓ ნიკეას ქუჩა 1 შეს N5;
- ✓ ნიკეას ქუჩა N19/66;
- ✓ ნიკეას ქუჩა მე-2 შეს N4;
- ✓ ნიკეას ქუჩა N60;
- ✓ ნიკეას ქუჩა N19/97;
- ✓ ნიკეას მე-2 შეს N13;
- ✓ ნიკეას ქუჩა N6;
- ✓ ნიკეას ქუჩა N46ა;
- ✓ ნიკეას ქუჩა N19/90;

სახურავების კაპიტალური შეკეთება:

- ✓ ნიკეას ქუჩა N66 – ოთხივე სადარბაზო;

- ✓ ნიკეას ქ. N1/9 ;

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების (კარები, ბაქანი, ფანჯარა) რეაბილიტაცია დასრულდა:

- ✓ ნიკეას ქუჩა N62;
- ✓ ნიკეას ქუჩა N40;
- ✓ ნიკეას ქუჩა N34;
- ✓ ნიკეას ქუჩა მე-2 შეს N7ბ 1;
- ✓ ნიკეას ქუჩა N50;
- ✓ ნიკეას ქუჩა N54ა;
- ✓ ნიკეას ქუჩა მე-2 შეს N5;
- ✓ ნიკეას ქუჩა მე-2 შეს N64ა;
- ✓ ნიკეას ქუჩა N19/49;
- ✓ ნიკეას ქუჩა N19/98;
- ✓ ნიკეას ქუჩა მე-2 შეს N3;

გარემოსდაცვითი საკითხები ნიკეას ადმინისტრაციულ ერთეულში

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ნარჩენების მართვის პოლიგონთან დაკავშირებული საკითხები და მოსახლეობის მიერ დაფიქსირებული გარემოსდაცვითი პრობლემები. 2026 წლის ივლისში, ნიკეას ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელთან ერთად, გავმართე შეხვედრა ნარჩენების მართვის პოლიგონის ხელმძღვანელობასთან. შეხვედრის ფარგლებში ადგილზე გავეცანით მიმდინარე სამუშაოებს და განვიხილეთ მოსახლეობის მიერ დაფიქსირებული პრობლემები, მათ შორის უსიამოვნო სუნთან დაკავშირებული საკითხი. მიღებული ინფორმაციის თანახმად, შესაბამისი სამუშაოების დასრულება დაგეგმილია მომდევნო 2–3 თვის განმავლობაში, ხოლო ე.წ. ნიკეას სანაგვეს სრული დახურვა დაგეგმილია 2028 წლისთვის.

მოქალაქეთა მიღება და სამართლებრივი კონსულტირება

აქტიურად ხორციელდებოდა მოქალაქეთა ინდივიდუალური მიღება როგორც საკრებულოში, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში. შეხვედრების განრიგთან დაკავშირებით მოქალაქეებს ინფორმაცია წინასწარ მიეწოდებოდათ.

მოქალაქეებთან შეხვედრების ფარგლებში განვიხილავდით სოციალურ, საყოფაცხოვრებო, სამართლებრივ და ადმინისტრაციული ხასიათის საკითხებს. გავუწიეთ კონსულტაციები: სამხედრო ბინების პრივატიზების, საცხოვრებელი ფართების დაკანონების, მუნიციპალური სოციალური პროგრამებით სარგებლობის, დასაქმების, საცხოვრებელ ფართებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემებისა და სოციალური საცხოვრისის საკითხებზე.

სამომავლო პრიორიტეტები და დასკვნა

2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის სექტემბრის ჩათვლით ჩემი საქმიანობის მთავარი პრიორიტეტი იყო მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაცია, მათი პრობლემების იდენტიფიცირება და მერიის შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით ამ საკითხების ეტაპობრივი მოგვარება. მომდევნო პერიოდშიც ჩემი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად კვლავ რჩება ნიკეას ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული გამოწვევების მოგვარების ხელშეწყობა. სამომავლოდ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობ:

- ✓ **საგზაო და შიდა ეზოების ინფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებას;**
- ✓ **მრავალბინიან სახლებში არსებული საბინაო პრობლემების მოგვარებასა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერას;**
- ✓ **სპორტული და დასასვენებელი სივრცეების განვითარებას; გარემოსდაცვითი პრობლემების მონიტორინგს;**
- ✓ **მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის საჭიროებების მაქსიმალურ მხარდაჭერას.**

გავაგრძელებ აქტიურ შეხვედრებს მოსახლეობასთან და მჭიდრო თანამშრომლობას შესაბამის უწყებებთან, რათა ეტაპობრივად გაუმჯობესდეს ნიკეას ადმინისტრაციული ერთეულის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემო.

გმადლობთ !

ქალაქ ქუთაისის მინიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,  მამუკა სინაურიძე